2019 №15

ქვითელი ჯარი

ერთი გუნდით, ერთი სტრატეგიით, საერთო მიზნისკენ–ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოებისთვის

გვ.2

26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

საქართველოს თავდაცვის ძალების 28 წლის იუბილე მადლობა სამსახურისთვის!



გვ. 5

ბესიკ ხარანაული: „დღეს ჩვენი ჯარისკაცების ვაჟკაცობა ჩვენს მიწას გასცდა და საყოველთაო აღიარება და დაფასება მოიპოვა სადაც კი საშშ-ის მისიებისთვის არიან წასული. ჩვენ ვერასოდეს ვერ გადავიხდით ვალს, რომელიც ქართველი ჯარისკაცის წინაშე გვაქვს. მადლობა სამსახურისთვის!“

ახალი სამხედრო ქალაქი მახათას მთაზე

გვ. 4

საქართველოს თავდაცვის მინისტრის ვიზიტი აშშ-ში

გვ. 7

„ყველაზე ძლიერი“

გვ. 9

ქართული „მტკიცე მხარდაჭერის“ მისია

გვ. 10

26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

„ვულოცავ ამ დღეს ქართულ ჯარს, რომელიც ჩვენი იდენტობის საწყისის, საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დაცვით, თითოეული მოქალაქის ღირსებას იცავს!“ - ლევან იზორია, საქართველოს თავდაცვის მინისტრი

26 მაისს საქართველო დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავს. ჩვენი ქვეყნის ეს უმნიშვნელოვანესი დღესასწაული სათავეს 1918 წლის 26 მაისიდან იღებს, როდესაც საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოაცხადა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა შექმნა. მიღებულ იქნა „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი“. ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა და ევროპული ტიპის ქართული სახელმწიფოებრიობა შეიქმნა. 26 მაისი-ეს არის ისტორიული დღე და თარიღი, რომელიც საქართველოს ყველა მოქალაქეს აერთიანებს. ქვეყნის მასშტაბით ტარდება ღონისძიებები. ამ დღის მთავარი ნაწილი კი სამხედრო კომპონენტი-სამხედრო ფიცის დადების ცერემონიაა, რომელიც წელს, ერთდროულად 6 ლოკაციაზე გაიმართა. საქართველოს დამოუკიდებლობის 101-ე წელს ქვეყნისა და ერის წინაშე სამშობლოს ერთგულების ფიცი 463-მა რეკრუტმა და წვევამდელმა დადო. თბილისი - თავისუფლების მოედანი, ზუგდიდი - დადიანების სასახლე, რაჭა - მრავალძალი, ქართლი - კლდეში ნაკვეთი უძველესი ქალაქი უფლისციხე, დუშეთში - ანანურის ციხის კომპლექსი, ყვარელი - გრემის მონასტერი, პირდაპირი ეთერის საშუალებით სწორედ ამ ადგილებიდან ჩაიბარა პატაკი ქვეყნის უმაღლესმა მთავარსარდალმა სალომე ზურაბიშვილმა.

სამხედრო ფიცის დადებამდე, საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის ფონზე, სახელმწიფო დროშის აღმართვის ცერემონია გაიმართა, რის შემდეგაც თავისუფლების მოედანზე შეკრებილმა საზოგადოებამ საქართველოს დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობისა და საერთაშორისო მისიებში მონაწილეობის დროს დაღუპულთა ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი მიაგოს.

საზეიმო ცერემონიალში მონაწილეობა საქართველოს თავდაცვის ძალების იმ ქვედანაყოფების სამხედრო მოსამსახურეებმა მიიღეს, რომლებმაც ბოლო წლებში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ - სპეციალური ოპერაციების ძალები; დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული

თავდაცვის აკადემია; I ქვეითი ბრიგადის მე-12 ბატალიონის ნატოს რეაგირების ძალების (NRF) სამხედრო მოსამსახურეები; ეროვნული გვარდიის სამხედრო მოსამსახურეები; ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობის სამხედრო მოსამსახურეები; საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის მონაწილე დასავლეთის სარდლობის მე-3 ქვეითი ბრიგადის 31-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონი; წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა აკადემია და II ქვეითი ბრიგადის 22-ე ბატალიონი. ღონისძიებაზე აშშ-ის ევროპის სარდლობის I ქვეითი დივიზიის I ბრიგადისა და საზღვაო ქვეითების ინსტრუქტორთა პირადი შემადგენლობაც იყო წარმოდგენილი.

სამხედრო მოსამსახურეებსა და თავისუფლების მოედანზე შეკრებილ მოქალაქეებს დამოუკიდებლობის დღე მიულოცეს საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა, პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ, პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ და თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ. თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა აქცენტები თავისუფლების მნიშვნელობასა და ქვეყნის მშვიდობიან განვითარებაზე გააკეთა. „26 მაისი ქართველი ერის თავისუფლების სიმბოლოა. ქართული სიტყვა, თავისუფალი, უნიკალურია მსოფლიოში. ქართველმა ამ სიტყვაში საკუთარი იდენტობის ორი საწყისი, თავის, ანუ ინდივიდის და უფლის ღვთაებრივი საწყისი გააერთიანა. ეს ქრისტიანული იდენტობაა, რომელშიც ადამიანი, ინდივიდი, ღმერთმა თავის მსგავსად, თავის ხატად შექმნა და მისი ღირსება ხელშეუხებელ ღვთაებრივ განზომილებაში აიყვანა.

ქართველისთვის თავისუფლების დაცვა ისტორიულად ღირსების დაცვას ნიშნავს. მძიმე ქარტეხილების მიუხედავად, ამ რწმენამ დღემდე მოგვიყვანა. თავისუფლებას ყოველ ისტორიულ ეპოქაში დაცვა სჭირდება, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. თანამედროვე სამყაროში საერთო კულტურულ ღირებულებათა საფუძველზე გაერთიანებულმა ერებმა მშვიდობიანი და თავისუფალი განვითარება მხოლოდ დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცებითა და ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის შექმნით შეძლეს. გლობალური გამოწვევების ფონზე თავისუფლების დაცვა, დღეს, როგორც არასდროს, თავისუფალ საზოგადოებათა სამყაროს საერთო ძალისხმევას საჭიროებს. ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების მიზანი, პირველ რიგში, ჩვენი იდენტობის, თავისუფლებისა და ღირსების დაცვაა. ჩვენი სანიმუშო პარტნიორობა კი, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ, თავისუფლების დასაცავად საერთო ძალისხმევის განმტკიცებას ემსახურება. რუსეთის მიერ ქვეყნის 20%-ის ოკუპაციის მიუხედავად, თავისუფლებისკენ ჩვენი სწრაფვა ურყევია. მადლობა ჩვენს მეგობრებს, ნატოს წევრ ქვეყნებს, განსაკუთრებით მთავარ სტრატეგიულ პარტნიორს აშშ-ს, რომელიც თავისუფლებისა და ღირსების დასაცავად ყოველდღიურად გვაძლიერებს. ქედს ვიხრით ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და საერთაშორისო სამხედრო მისიებში დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების სახელების წინაშე. განსაკუთრებული მადლობა დაჭრილ და დაშავებულ სამხედროებს, ვეტერანებს, ჩვენს საამაყო ჯარისკაცებს, რომლებიც სიმამაცითა და პროფესიონალიზმით მსოფლიოში გვასახელებენ. ვულოცავ წვევამდელებს ფიცის დადებას და წარმატებებს ვუსურვებ ყველაზე საპატიო მოვალეობის შესრულებაში. კიდევ ერთხელ განსაკუთრებით ვულოცავ ამ დღეს ქართულ ჯარს, რომელიც ჩვენი იდენტობის საწყისის - საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დაცვით თითოეული მოქალაქის ღირსებას იცავს“-განაცხადა ლევან იზორიამ.

ცერემონიის დასრულების შემდეგ ყველას მიეცა შესაძლებლობა დაეთვალიერებინა ქართულ შეიარაღებაში არსებული საქართველოსა და უცხოეთში წარმოებული სამხედრო ტექნიკა და აღჭურვილობა, რომელიც სპეციალურად 26 მაისისთვის თავისუფლების მოედანზე გამოიფინა. თბილისის გარდა სამხედრო ტექნიკა გამოფენილი იყი საქართველოს 11 ქალაქში - თელავი, მარნეული, რუსთავი, მცხეთა, გორი, ახალქალაქი, ქუთაისი, ამბროლაური, ოზურგეთი, ფოთი, სენაკი.

26 მაისს საქართველოს მოქალაქეები კიდევ ერთხელ გაერთიანდნენ. 17:10 საათზე, ქვეყნის 14 ქალაქის მთავარ მოედნებზე საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი შესრულდა. 17:10 საათი სწორედ ის დროა, როდესაც 101 წლის წინ, პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღინიშნა ავღანეთშიც. ბაგრამის საავიაციო ბაზაზე მოეწყო მარში, რომელშიც ქართველ ჯარისკაცებთან ერთად აშშ-ის, ჩეხეთის, პოლონეთისა და ავღანეთს თავდაცვის ძალების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. სამხედრო მარში სამშვიდობო მისიებში დაღუპული ქართველი სამხედროების მემორიალთან დასრულდა. მემორიალი საქართველოს თავდაცვის ძალების წარმომადგენლებმა გვირგვინით შეამკეს.

ახალი სამხედრო ქალაქი მახათას მთაზე

თავდაცვის უწყება სამხედრო მოსამსახურეების საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის პროცესს აგრძელებს

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტი სამხედრო მოსამსახურეების და მათი ოჯახის წევრების სოციალური პირობების გაუმჯობესებაა. ამ მიზნით უწყებაში არაერთი რეფორმა და პროექტი განხორციელდა. ამჯერად კი, საფუძველი ჩაეყარა მახათას მთაზე, ახალი სამხედრო ქალაქის მშენებლობას. პროექტის მიხედვით თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე არსებულ ტერიტორიაზე, სამხედრო მოსამსახურეებისათვის საცხოვრებელი ფართები „ამხანაგობის“ პრინციპით აშენდება, ბინის საფასურის 40%-ს კი სახელმწიფო დაფარავს.

პროექტის პირობები და მიზნები თავდაცვის ძალების წარმომადგენლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ და თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ პირადად გააცნეს. მათი განმარტებით 700-მდე სამხედრო მოსამსახურეს მახათას მთაზე არსებული მიწა საკუთრებაში გადაეცემათ და პროექტი სახელმწიფოს თანადაფინანსებით განხორციელდება. „პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, ვიწყებთ ძალიან მნიშვნელოვან პროექტს და განსაკუთრებით, მას მინდა ვუთხრა მადლობა მხარდაჭერისთვის, რომელსაც მე პირადად და თითოეული თქვენგანი გრძნობთ, იქნება ეს თავდაცვის ძალების ტრანსფორმაცია და მისთვის საჭირო ფინანსური უზრუნველყოფა, იქნება ეს ახალი სახელფასო პაკეტი, თუ დღეს უკვე ამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებით - ახალი საბინაო პოლიტიკის განხორციელება. ეს არის სწორედ თავდაცვის პოლიტიკის მნიშვნელოვანი ასპექტი“, - განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა პროექტის პრეზენტაციაზე.

2019 წლის „ამხანაგობაში“ გაერთიანების შესაძლებლობა ექნებათ: გენერლებს, პოლკოვნიკებს, ვიცე-პოლკოვნიკებს, მაიორებს, მთავარი სერჟანტისა და მასტერ-სერჟანტის თანამდებობაზე დანიშნულ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებსაც თავდაცვის სამინისტროდან არ მიუღიათ საცხოვრებელი ფართები. წელს პროექტში ჩაერთო და უკვე დარეგისტრირდა 650-მდე სამხედრო მოსამსახურე. საცხოვრებელი ფართების განაწილება შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით მოხდება: ოჯახი/სამხედრო მოსამსახურე (უშვილო) – 50 კვადრატული მეტრი; ოჯახი და ერთი შვილი – 50 კვადრატული მეტრი; ოჯახი და ორი შვილი – 80 კვადრატული მეტრი; ოჯახი და სამი შვილი – 110 კვადრატული მეტრი.

ბინათმშენებლობის პროექტის მიზანი სამხედრო მოსამსახურეების საბინაო პირობების გაუმჯობესება, ახალგაზრდა ოფიცრებსა და კაპრალ-სერჟანტებში მოტივაციის ამაღლებას და სამხედრო სამსახურში მყოფი გამოცდილი და პერსპექტიული პირადი შემადგენლობის შენარჩუნებაა. „ეს არის იმ დვაწლის დაფასება, რაც თქვენ ქვეყნის მიმართ გაგაჩნიათ, ზოგიერთი თქვენგანი 20 წელზე მეტია ემსახურებით თქვენს ქვეყანას. თქვენ ხართ მაგალითი ახალი თაობისთვის, იმ ახალი ოფიცერთა კორპუსისთვის, რომლებსაც აქვთ ამბიცია გაიარონ იგივე გზა, რომელიც თქვენ გაიარეთ. ამიტომ ეს დამატებითი მოტივაციაა მათთვის, რომ მომავალში შეძლონ გახდნენ მაიორები, ვიცე-პოლკოვნიკები და უფრო მაღალი რანგის ოფიცრები და სერჟანტები, რათა ჰქონდეთ სახელმწიფოსგან ადეკვატური სოციალური პაკეტით უზრუნველყოფა“, - აღნიშნა ლევან იზორიამ.

მახათას მთაზე ბინათმშენებლობის პროექტის პირველი ეტაპი 2019 წელს დაიწყება. პარალელურად კი გრძელდება კონტრაქტით გათვალისწინებული სამხედრო მოსამსახურეების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის პროცესი. უკვე დასასრულს უახლოვდება გორში 5 სართულიანი კორპუსების მშენებლობა, სადაც 186 სამხედრო მოსამსახურე ახალ ბინას მიიღებს. ამ ეტაპზე კორპუსების გარე პერიმეტრის კეთილმოწყობის, პარკირების, პანდუსების და კორპუსამდე მისასვლელი გზის მოპირკეთების სამუშაოები მიმდინარეობს. საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა გრძელდება თბილისშიც, აბაშვილის ქუჩაზე, ე.წ. სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე, სადაც ახალი საცხოვრებელი ბინით 486 სამხედრო მოსამსახურე დაკმაყოფილდება. პროექტის მიხედვით ორივე 9 სართულიანი კორპუსის მიმდებარე ტერიტორია იქნება კეთილმოწყობილი და შ.შ.მ. პირებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფილი.

თავდაცვის სამინისტრომ საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურეების მიმართ ბინებით უზრუნველყოფის ვალდებულება 2007 წლის ბრძანების საფუძველზე აიღო. უწყებამ, კონტრაქტით გათვალისწინებული სამხედრო მოსამსახურეებისთვის ბინების გაცემის პროცესი 2013 წლიდან დაიწყო და 1724 სამხედრო მოსამსახურე საცხოვრებელი ფართით დააკმაყოფილა. 2020 წელს კი თავდაცვის სამინისტრო საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურეების წინაშე 2007 წლის ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას სრულად შეასრულებს.

საქართველოს თავდაცვის ძალების 28 წლის იუბილე

მადლობა სამსახურისთვის!

28 წლის წინ, 1991 წლის 30 აპრილს, საქართველოში სამხედრო სამსახურში გაწვევა პირველად განხორციელდა. სწორედ ეს დღე იქცა ქართული ჯარის დაარსების ათვლის წერტილად. მას შემდეგ ქართული ჯარი ქვეყნის საყრდენია. ჯარისკაცები საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავენ სამშობლოს და დგანან ქვეყნის სამსახურში. ილია ჭავჭავაძე ამბობდა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა მამა-პაპათგან: მამული, ენა, სარწმუნოება“, სწორედ ამ საუნჯის პატრონნი არიან ჯარისკაცები და ისინი ნამდვილად იმსახურებენ, რომ ყოველ დღე და ყოველ წამს, მადლობა ვუთხრათ სამსახურისთვის. სწორედ ეს ფრაზა გახდა გზავნილი სხვადასხვა პროფესიის ადამიანების მიერ ჩვენი ჯარისკაცებისათვის. მსახიობები, სპორტსმენები, რეჟისორები, მომღერლები, ექიმები, მხატვრები, ყველა მათგანი გაერთიანდა იმისათვის, რომ ამ დღეს პატივისცემა გამოეხატათ ჯარისადმი და ეთქვათ: „მადლობა სამსახურისთვის!“

ბესიკ ხარანაული: „დღეს ჩვენი ჯარისკაცების ვაჟკაცობა ჩვენს მიწას გასცდა და საყოველთაო აღიარება და დაფასება მოიპოვა სადაც კი სამშვიდობო მისიებისთვის არიან წასული. ჩვენ ვერასოდეს ვერ გადავიხდით ვალს, რომელიც ქართველი ჯარისკაცის წინაშე გვაქვს. მადლობა სამსახურისთვის!“

***

ქართული ჯარის 28 წლის იუბილესთან დაკავშირებით, 30 აპრილს მთავარი ღონისძიება ვაზიანში, IV მექანიზებული ბრიგადის ტერიტორიაზე გაიმართა. ღონისძიების ოფიციალური ნაწილი IV მექანიზებული ბრიგადის სამწყობრო მოედანზე ჩატარდა, სადაც საქართველოს თავდაცვის ძალების ყველა გვარეობის ქვედანაყოფი იყო წარმოდგენილი. ეროვნული გვარდიის სამხედრო-საჩვენებელი ორკესტრის მიერ საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის შესრულების შემდეგ, სამხედრო მოსამსახურეებს თავდაცვის ძალების დღე საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა, პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ, პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ, თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ და თავდაცვის ძალების მეთაურმა, გენერალ-მაიორმა ვლადიმერ ჩაჩიბაიამ მიულოცეს. თავდაცვის ძალების იუბილეს საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, ვეტერანები, საბრძოლო მოქმედებებში დაჭრილი და დაშავებული სამხედროები, ასევე, გმირების ოჯახის წევრები დაესწრნენ.

„ამ დღეს სიმბოლურად შეიძლება ვუწოდოთ სამშობლოს დაცვის ვალდებულების დღე, იმიტომ რომ, დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში, სწორედ ამ ვალდებულებით შეიქმნა ქართული ჯარი და ეს ვალდებულება აიღო 28 წლის წინ უკვე აღდგენილი დამოუკიდებლობის პირობებში, ქართველმა ვაჟკაცმა, რითაც გადადგა ნაბიჯი იმ ტრადიციების გაგრძელებისკენ, რითაც ჩვენ, ქართველები, ოდითგან ვამაყობდით და დღესაც ვამაყობთ“. „მე მინდა, პირველ რიგში, თქვენთან ერთად, ქედი მოვიხარო ჩვენი გმირი ბიჭების სახელების წინაშე, რომლებმაც როგორც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, ისე საერთაშორისო მისიებში, სამშობლოს დაცვის ვალდებულებიდან გამომდინარე, საკუთარი სიცოცხლე გაწირეს.“ - ამ სიტყვებით მიულოცა თავდაცვის ძალების დღე ქართველ სამხედროებს თავდაცვის მინისტმა ლევან იზორიამ და აღნიშნა, რომ 28 წელიწადი საქართველოს თავდაცვის ძალებისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევების წლები იყო. „სწორედ ვალდებულებამ, რასაც სამშობლოს დაცვის ვალდებულება ჰქვია, ჩვენ წარმოგვაჩინა როგორც ერი, რომელიც თავის ღირსებას სიცოცხლის ფასად იცავს“. მინისტრმა IV მექანიზებულ ბრიგადაში, თავდაცვის ძალების იუბილეზე სიტყვით გამოსვლისას საქართველოს სტრატეგიულ პარნტიორებს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებასა და თავისუფალ საზოგადოებაში ღირსეული ადგილის დამკვიდრებაში მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

„ჩვენ გვაქვს მნიშვნელოვანი წარმატებები საქართველოს ნატოში ინტეგრაციის გზაზე და ჩვენ ვიქნებით შეუპოვარნი ჩვენი სტრატეგიული ამოცანის შესასრულებლად“. ლევან იზორიას თქმით, საქართველო თავისი ინტერესებისა და ვალდებულებების დასაცავად როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო მისიების ფარგლებში ყველაფერს აკეთებს. „ვაკეთებთ ყველაფერს ჩვენი ქვეყნის ინტერესების და ვალდებულებების დასაცავად, რასაც ქვეყნის დაცვის ვალდებულება ჰქვია. დღევანდელი დღე პირველად, სიმბოლურად, სწორედ იმ ჯარისკაცებს მივულოცეთ, რომლებიც მსოფლიოს ყველაზე ცხელ წერტილში, ყველაზე საპასუხისმგებლო ამოცანებს ასრულებენ“.

თავდაცვის მინისტრმა მშვიდობისმყოფელებს თავდაცვის ძალების დღე ტელეხიდით მიულოცა. „ჩემო ძმებო, მინდა, განსაკუთრებული სიყვარულით და პატივისცემით მოგილოცოთ დღევანდელი დღე! ბევრჯერ მსმენია,

ნინო სურგულაძე: „ჩვენო საამაყო ჯარისკაცებო, თქვენ ხართ ჩვენი სამშობლოს და თითოეული ჩვენგანის სიამაყე, თქვენ არაერთხელ დაამტკიცეთ ქართული ჯარის სიმტკიცე და პროფესიონალიზმი, როგორც საერთაშორისო მისიებში, ასევე ჩვენი ქვეყნისთვის უმძიმეს წუთებში. მადლობას გიხდით სამსახურისთვის!“

ვახტანგ კახიძე: „მინდა მოვიგონო ყველა ის ჯარისკაცი, ვინც იბრძოდა და შეეწირა ჩვენი ქვეყნის ერთიანობას, თავისუფლებას. საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. მინდა მადლობა ვუთხრა იმ ქართველ ჯარისკაცებს, რომლებიც სხვადასხვა საერთაშორისო მისიებში მონაწილეობენ. ჩვენ ვამაყობთ თქვენით. მადლობა სამსახურისთვის!“

დათო ევგენიძე: „ჯარისკაცებო, თქვენ ის ქართველები ხართ, ვინც საქართველოს დააბრუნებს სოხუმში და ცხინვალში. მე თქვენ ძალიან მიყვარხართ და არ ვიცი როგორ დაგიდგეთ გვერდზე. ამ შემთხვევაში მხოლოდ სიტყვით. სიტყვა შეიძლება ცოტა იყოს, მაგრამ სიტყვაში გულიც არის. დიდი მადლობა სამსახურისთვის!“

თუ რა დიდი შეფასება აქვს ქართულ ჯარს „მტკიცე მხარდაჭერისა“ და ევროკავშირის ეგიდით აფრიკის კონტინენტზე მიმდინარე სხვა მისიების ფარგლებში. ჩვენ ვამაყობთ, რომ როგორც პარტნიორები ვართ სამაგალითონი - ეს აღიარებულია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ კრიტიკული ოპერაციების შესრულების დროს. მაქვს პატივი, თქვენთან ერთად ვემსახურო ჩემს ქვეყანას. მაქვს პატივი, გამოვხატო თითოეული ქართველის დამოკიდებულება თქვენს მიმართ, ის სიყვარული და პატივისცემა, რომელიც განსაკუთრებულია იმიტომ, რომ თქვენ აიღეთ თქვენი ქვეყნის დაცვის ვალდებულება. ვალდებულების აღება კი, მხოლოდ ერთეულებს შეუძლიათ“, - ტელეხიდით ჩართვისას ლევან იზორიამ თავდაცვის უწყებაში მიმდინარე სამაგალითო რეფორმებზე კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება და საერთაშორისო მისიებში მყოფ ქართველ სამხედროებს ახალი სოციალური მიმართულებების - საბინაო პოლიტიკისა და განახლებული სახელფასო უზრუნველყოფის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია.

თავდაცვის სამინისტროს მართვის ცენტრიდან ქართველ მშვიდობისმყოფელებს პროფესიული დღე საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურმა, გენერალ-მაიორმა ვლადიმერ ჩაჩიბაიამაც მიულოცა და თავდაცვის მინისტრს სამხედრო მოსამსახურეების სოციალური პირობების გაუმჯობესების მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

საქართველოს თავდაცვის ძალების 28 წლის იუბილე ავღანეთში „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიაში მონაწილე სამხედროებმა ქაბულშიც აღნიშნეს. ავღანეთში თავდაცვის ძალების სამხედრო წარმომადგენლობის ორგანიზებით ბაზა HKIA-ზე მარათონი და ოფიციალური მიღება გაიმართა. სპორტულ ღონისძიებაში ავღანეთში დისლოცირებული ყველა ქვედანაყოფის წარმომადგენელი, ასევე ბაზა HKIA-ზე მყოფი სხვადასხვა ქვეყნის სამხედრო მოსამსახურეები ჩაერთვნენ. მოგვიანებით კი, თავდაცვის ძალების უფროსმა სამხედრო წარმომადგენელმა, პოლკოვნიკმა მალხაზ მერლანმა ბაზაზე დისლოცირებულ მაღალი რანგის სამხედრო მოსამსახურეებს უმასპინძლა.

ბაზა HKIA-ს მეთაურმა, თურქეთის შეიარაღებული ძალების ბრიგადის გენერალმა ჰუსეინ ქამბურმა ქართველ სამხედროებს პირადად მიულოცა პროფესიული დღე და საქართველოს სამხედრო წარმომადგენლობის წევრებს ნატოს მისიის მედლები გადასცა. ღონისძიების დასასრულს კი, პოლკოვნიკმა მალხაზ მერლანმა თავდაცვის ძალების 5 სამხედრო მოსამსახურე უწყებრივი მედლებით დააჯილდოვა.

საქართველოს თავდაცვის ძალების 28 წლის იუბილე დასავლეთ სარდლობის ქვედანაყოფებშიც აღნიშნეს. სენაკის მე-2 და ქუთაისის მე-3 ქვეით ბრიგადებში ღია კარის დღეზე ადგილობრივი სკოლის მოსწავლეებს უმასპინძლეს.

მე-3 ქვეითი ბრიგადის სამწყობრო მოედანზე სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეების ფიცის მიღების ცერემონიალი გაიმართა. უწყებრივი მედლებით დაჯილდოვდნენ წარმატებული სამხედრო მოსამსახურეები.

თავდაცვის ძალების წარმომადგენლებმა ადგილობრივი სკოლის მოსწავლეებთან ერთად ბრიგადების ტერიტორიაზე არსებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალები გვირგვინით შეამკეს. მოწვეული სტუმრებისთვის შეიარაღებისა და ტექნიკის გამოფენა მოეწყო. სენაკში სამედიცინო და საინჟინრო სწავლებები ჩატარდა, ხოლო ქუთაისში მოსწავლეებმა სპორტულ ღონისძიებებში მიიღეს მონაწილეობა. სტუმრებისთვის გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის კადეტებმა საინფორმაციო შეხვედრაც გამართეს. მე-3 ქვეითი ბრიგადის ტერიტორიაზე თავდაცვის ძალების დღე კონცერტით დასრულდა, რომელიც ქუთაისის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით გაიმართა.

რუსუდან ფეტვიაშვილი: „დამოუკიდებელ საქართველოში, საუკუნეების განმავლობაში, საქართველოს ჯარი იყო კეთილშობილ რაინდთა გაერთიანება, რომლებიც ბრძოლით იცავდნენ და არა ჩაგრავდნენ. მე ვამაყობ, რომ საქართველოს ჯარი დღესაც ასეთია. ის არამარტო საქართველოს იცავს, არამედ მსოფლიო თანამეგობრობაში შეაქვს თავისი წვლილი მშვიდობისათვის. მადლობა სამსახურისთვის!“

საქართველოს თავდაცვის ძალების დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიების ოფიციალური ნაწილის პარალელურად, მე-4 მექანიზებული ბრიგადის ტერიტორიაზე სპორტული შეჯიბრებები და გასართობი ღონისძიებები გაიმართა. მე-4 მექანიზებული და I ქვეითი ბრიგადების სამხედროები ერთმანეთს ლელო ბურთის ფინალში შეეჯიბრნენ. სხვადასხვა სამხედრო ნაწილის ჯარისკაცებმა კი, საკუთარი ფიზიკური შესაძლებლობები ბაგირის გადაწევასა და ესტაფეტაში გამოსცადეს. გამარჯვებულ გუნდებს მედლები და გარდამავალი თასი გადაეცათ.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის ვიზიტი აშშ-ში

„გეგმები ძალიან კონკრეტულია, რომელიც ჩვენი თანამშრომლობის გაფართოებისა და პრაქტიკული ურთიერთობის გაღრმავებისკენ არის მიმართული, რაც მოგვცემს მყარ საფუძველს იმისთვის, რომ საქართველო მზად იყოს ნატოში გასაწევრიანებლად“ - ლევან იზორია

15-22 მაისს საქართველოს თავდაცვის მინისტრი ამერიკის შეერთებულ შტატებში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა. ლევან იზორიამ ვიზიტი ნორფოლკში, მოკავშირეთა ტრანსფორმაციის სარდლობის (ACT) შტაბბინაში სტუმრობით დაიწყო. თავდაცვის უწყების დელეგაციას ნატოს მოკავშირეთა ტრანსფორმაციის სარდლის მოადგილემ, ადმირალ **მანფრედ ნილსონმა** უმასპინძლა. შეხვედრაზე მხარეებმა ნატო-საქართველოს არსებული თანამშრომლობა და ერთობლივი სამომავლო გეგმები განიხილეს. „გეგმები ძალიან კონკრეტულია, რომელიც ჩვენი თანამშრომლობის გაფართოებისა და პრაქტიკული ურთიერთობის გაღრმავებისკენ არის მიმართული, რაც მოგვცემს მყარ საფუძველს იმისთვის, რომ საქართველო მზად იყოს ნატოში გასაწევრიანებლად“, - განაცხადა ლევან იზორიამ. მან ადმირალ ნილსონსა და ნატოს მოკავშირეთა ტრანსფორმაციის სარდლობას საქართველოს თავდაცვის ძალების მტკიცე მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა საქართველოს თავდაცვის ძალების რეფორმების პროცესში მიღწეული პროგრესი. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ნატო-საქართველოს ერთობლივი სწავლების პოზიტიური დინამიკასა და სწავლების განვითარების შემდგომ პერსპექტივაზე. „2016-2019 წელს მნიშვნელოვანი პროგრესი გვქონდა - როგორც პარტნიორმა ქვეყანამ ავიღეთ პასუხისმგებლობა ნატო-საქართველოს სწავლების დაგეგმვასა და განხორციელებაზე. ასევე, გვქონდა შესაძლებლობა გვემსჯელა შემდგომ პერსპექტივაზე - მორიგ ნატო-საქართველოს სწავლებაზე, რომელიც იქნება მასშტაბებით განსხვავებული და სხვადასხვა ელემენტისგან შემდგარი, როგორიც არის ამფიბიური და სახმელეთო კომპონენტი“,- განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა. მხარეებმა ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში მიღწეულ წარმატებებზეც ისაუბრეს, რაც ნატოს გენერალური მდივნის ყოველწიურ ანგარიშშიც ხაზგასმით აღინიშნა. ლევან იზორიამ მოკავშირეთა ტრანსფორმაციის სარდლობას ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ სამომავლოდ ცენტრის ნატოსთან თავსებადობა კიდევ უფრო გაუმჯობესდება.

აშშ-ში ვიზიტის ფარგლებში ლევან იზორია შეხვდა აშშ-ის მე-2 ფლოტის სარდალს, **ენდრიუ ვუდი ლუისს** და დელეგაციის წევრებთან ერთად ნორფოლკის ფლოტის სადგურში სამხედრო ავიამზიდზე „ჰარი ს. ტრუმანი“ დაგეგმილ ტურშიც მიიღო მონაწილეობა.

აშშ-ში ვიზიტი საქართველოს თავდაცვის მინისტრმა პოლიტიკის საკითხებში აშშ-ის თავდაცვის მდივნის მოადგილესთან, **ჯონ რუდთან** შეხვედრით განაგრძო. შეხვედრაზე ორ ქვეყანას შორის სტრატეგიული თანამშრომლობის საკითხები და სამომავლო გეგმები განიხილეს. განსაკუთრებული ყურადღება აშშ-სა და საქართველოს შორის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების გზებზე გამახვილდა. ლევან იზორიას განცხადებით, ორ ქვეყანას შორის ასეთი მჭიდრო და ინტენსიური თანამშრომლობა არასდროს ყოფილა. საუბარი შეეხო საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამასა და საბრძოლო მომზადების ცენტრის განვითარების სამომავლო პერსპექტივებს. მხარეებმა შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების განმტკიცებისთვის მრავალეროვნული სწავლებების ფორმატისა და მასშტაბის გაზრდის აუცილებლობაც განიხილეს. თავდაცვის მინისტრის განცხადებით, შემოდგომაზე აშშ-თან თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის სამწლიანი ჩარჩო-ხელშეკრულება განახლდება, რომელშიც აისახება მიღწეული პროგრესი, გადაიხედება პრიორიტეტული მიმართულებები და ამით აშშ-თან თავდაცვის სფეროში თანამშრომლობა კიდევ უფრო განმტკიცდება. „ეს მოგვცემს საფუძველს, რომ ქვეყანა კიდევ უფრო დაუახლოვდეს ნატოს და მიღწეული თანამშრომლობის მაღალი ხარისხით ქვეყანა მზად იქნება ნატოში გასაწევრიანებლად“, - აღნიშნა ლევან იზორიამ. მხარეებმა საქართველოს თავდაცვის ძალების მოდერნიზაციისთვის და ნატოს სტანდარტების შესაბამისად შეიარაღებისთვის მხარდაჭერისა და თანადგომის გაგრძელების აუცილებლობის საკითხებიც განიხილეს, სადაც თავდაცვის მინისტრის განცხადებით, საქართველოს აშშ-ის მტკიცე მხარდაჭერა აქვს.

ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს თავდაცვის მინისტრის ლევან იზორიას პატივსაცემად და საქართველოს თავდაცვის ძალების 28 წლისთავთან დაკავშირებით, აშშ-ში საქართველოს საელჩოში მიღებაც გაიმართა. საქართველოსა და აშშ-ს შორის მჭიდრო თანამშრომლობის აღსანიშნავად ღონისძიება საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ჰიმნებით დაიწყო. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა სიტყვით გამოსვლისას ქართულ-ამერიკული ურთიერთობის განმტკიცებასა და გაღრმავების მნიშვნელობას კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი და მადლობის ნიშნად თავდაცვის დეპარტამენტის წარმომადგენელს „გენერალ მაზნიაშვილის“ მედალი გადასცა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს

დელეგაციასთან ერთად მიღებას აშშ-ის აკადემიური წრის, თავდაცვისა და სახელმწიფო დეპარტამენტების წარმომადგენლები დაესწრნენ. პენტაგონიდან მოწვეულმა სტუმრებმა სიტყვით გამოსვლისას ყურადღება საქართველოში ჩატარებულ და დაგეგმილ მრავალეროვნულ წვრთნებსა და ავღანეთში ქართველი მშვიდობისმყოფელების ამერიკელ პარტნიორებთან მხარდამხარ მსახურზე გაამახვილეს. ღონისძიებას დაესწრნენ ასევე, საქართველოს თავდაცვის ძალების ოფიცრები, რომლებიც ამჟამად აშშ-ის სხვადასხვა უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში სწავლობენ. მიღებაზე იმყოფებოდა ავღანეთში, „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიაში დაჭრილი ქართველი მშვიდობისმყოფელი, ლეიტენანტი ივერი ბუაძეც, რომელიც ვაშინგტონში უოლტერ რიდის სამედიცინო ცენტრში რეაბილიტაციის კურსს გადის.

აშშ-ში ვიზიტად მყოფმა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ვაშინგტონში შეხვედრები ევრაზიის რეგიონის საკითხებზე მომუშავე ექსპერტებთან მრგვალი მაგიდის ფორმატში აშშ-ის ატლანტიკურ საბჭოში განაგრძო. დისკუსიას მოდერატორობა ამერიკელმა დიპლომატმა და **ატლანტიკური საბჭოს ექსპერტმა ალექსანდერ ვერშბოუმ** გაუწია. ლევან იზორიამ ამერიკელ ექსპერტებს საქართველოს თავდაცვის სფეროში განხორციელებული რეფორმები გააცნო და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილა. როგორც მინისტრმა განაცხადა, განსაკუთრებით ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ საქართველოს ყველა მიმართულებით მზარდი დინამიკა აქვს - იქნება ეს ნატო-საქართველოს სწავლება თუ მრავალეროვნული სწავლებები. დისკუსიაზე ასევე აღინიშნა, რომ შავი ზღვის უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით, საქართველოსა და აშშ-ის შორის თანამშრომლობა კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს. „წელს ჩვენ გვექნება დასავლეთ საქართველოში მრავალეროვნული სწავლება, რომელიც სწორედ ამ მასშტაბსა და დინამიკას უზრუნველყოფს მონაწილე ქვეყნების რაოდენობითა და სწავლებაში სხვადასხვა ელემენტების ჩართულობით“, - განაცხადა ლევან იზორიამ. ატლანტიკურ საბჭოში განხილვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა იყო საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პერსპექტივა. ამ კონტექსტში მხარეებმა ერთმანეთს სტრატეგიული ხედვა გაუზიარეს და კიდევ ერთხელ აღნიშნეს, რომ სტრატეგიული ამოცანის განსახორციელებლად, რაც საქართველოს ნატოში გაწევრიანებას გულისხმობს, ერთობლივი ძალისხმევაა საჭირო. „ვისაუბრეთ ამერიკის შეერთებულ შტატებთან სტრატეგიულ თანამშრომლობასა და ნატო-საქართველოს არსებით პაკეტზე, რომელიც საქართველოს დახმარებას უწევს, რომ თავდაცვის ძალები მაღალ პროფესიონალურ დონეზე განავითაროს და ალიანსთან სრულიად თავსებადი გახადოს. ვფიქრობ, ეს ყველაფერი მოსამზადებელ პერიოდს წარმოადგენს, რომ საქართველოსთვის ნატოს კარი გაიღოს. ეს კი, ალიანსის მხრიდან 2008 წლის დაპირებაა“, - აღნიშნა ალექსანდერ ვერშბოუმ.

ვიზიტის ფარგლებში კიდევ ერთი შეხვედრა აშშ-ის სანაპირო დაცვის აკადემიის გამოსაშვებ საზეიმო ღონისძიებაზე შედგა, სადაც ლევან იზორია **ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველს ჯონ ბოლტონს** შეხვდა. კონექტიკუტის შტატში მდებარე აშშ-ის უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი ქართველმა კადეტებმა - კონსტანტინე ყიფიანმა და ალექსანდრე წერეთელმა დაამთავრეს. კურსის გამოშვების ცერემონიალზე ქართველ კადეტებს დიპლომები ჯონ ბოლტონმა და ლევან იზორიამ გადასცეს. „მქონდა პატივი, უსაფრთხოების საკითხებში აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველთან ჯონ ბოლტონთან ერთად მიმელოცა კადეტებისთვის მსოფლიოში ერთ-ერთი პრესტიჟული სამხედრო სასწავლებლის წარმატებით დასრულება. განსაკუთრებული სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ მათ შორის ორი ქართველია და ისინი მომავალში აქ მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერებას მოახმარენ“, - განაცხადა ლევან იზორიამ. კადეტები დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში 2015 წელს ჩაირიცხნენ. შესარჩევი კონკურსის წარმატებით გავლის საფუძველზე იუნკრებმა სწავლა აშშ-ის სანაპირო დაცვის აკადემიის საბაკალავრო პროგრამაზე განაგრძეს. სამხედრო სასწავლებლის დასრულების შემდეგ მათ ლეიტენანტის სამხედრო წოდება მიენიჭებათ. საქართველოში დაბრუნების შემდეგ კი, კადეტები სპეციალიზაციის კურსს გაივლიან და თავდაცვის ძალებში ოცმეთაურის თანამდებობაზე დაინიშნებიან. საზეიმო ღონისძიების დაწყებამდე ქართული დელეგაციის წევრებმა პატივი მიაგეს 2015 წელს ავტოავარიაში ტრაგიკულად დაღუპული სოსო მაკარიძისა და ბესარიონ გორჯოლაძის ხსოვნას, რომლებიც ამავე აკადემიაში სწავლობდნენ. ლევან იზორიამ სასწავლებლის ტერიტორიაზე მდებარე ქართველი კადეტების მემორიალი გვირგვინით შეამკო.

* * *

პენტაგონის ოფიციალური წარმომადგენლები საქართველოს, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების პარტნიორის შესახებ რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს აღნიშნავენ:

“- ავღანეთში, ნატო-ს „მტკიცე მხარდაჭერის მისიაში“ საქართველო არის ერთ სულ მოსახლეზე და ნატო-ს არა-წევრ ქვეყანებს შორის უმსხვილესი და საერთო მონაცენებით, რიგით მეხუთე კონტრიბუტორი ქვეყანა.

- 2017 წელს აშშ-საქართველომ ორმხრივი “საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის„ განხორციელება დაიწყეს. თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის ძალისხმევა მიმართულია საქართველოს ტერიტორილული თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარებისაკენ, თავდაცვის ძალების საბრძოლო მზადყოფნის დონის ამაღლებისა და სტრატეგიული მზადყოფნის და შენარჩუნების უზრუნველყოფის ინსტიტუციური სისტემების განვითარებაზე.

- საქართველო თავდაცვაზე მშპ-ს 2%-ს ხარჯავს, ხოლო (თავდაცვის ბიუჯეტის) 20%-ზე მეტს შეიარაღების მოდერნიზაციაზე, რაც (ალიანსისთვის) ფინანსური კონტრიბუციის სამართლიანი და თანაბარი განაწილების მნიშვნელოვანი მაგალითია.

- 2018-2019 წლებში საქართველომ საკუთარი სახსრებით აშშ-სგან 65 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების „ჯაველინის“ სისტემები შეიძინა. აღნიშნულმა შესყიდვამ დაადასურა, რომ საქართველოს არის აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორი, რომელიც თავდაცვის სენსიტიური ტექნოლოგიების სფეროში აშშ-ს სრული ნდობით სრგებლობს.

- საქართველო თავდაცვის რეფორმას ძალთა რესტრუქტურიზაციის ამბიციური გეგმით ახორციელებს, რაც აშშ-თან თანამშრომლობის წვრთნების მენტორობიდან წვრთნების პარტნიორობაზე გადასვლის საშუალებას იძლევა. საქართველო განაგრძობს საბრძოლო მომზადების ცენტრის სრულყოფას, რომელიც მრავალეროვნული სწავლებებისა და წვრთნების ჩატარების შესაძლებლობების განვითარებას ემსახურება.“

წყარო: www.dod.defense.gov

ყველაზე ძლიერი

სატელევიზიო რეალითი შოუს „ყველაზე ძლიერის" ვარსკვლავურ გუნდებს მენტორობას სამხედრო მოსამსახურეები უწევენ



მოქმედების ადგილი მანავის სამხედრო ბაზა. საზოგადოებისთვის ცნობილი 20 ადამიანი ერთი თვის განმავლობაში, მაყურებლისთვის მოულოდნელობებით აღსავსე რეალითი შოუს მონაწილე ხდება. ტელეკომპანია „იმედის" გრანდიოზული პროექტი: „ყველაზე ძლიერი" საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება. „ყველაზე ძლიერი" სპორტული შეჯიბრია სამხედრო ელემენტებით, სადაც ცნობად სახეებს მენტორობას გამოცდილი სამხედრო მოსამსახურეები უწევენ. პროექტის მონაწილეებს ყოველდღიურად გადასალახად მათთვის უცნობი დაბრკოლებები ხვდებათ. გზა, რომელსაც ისინი გამარჯვებამდე გადიან სირთულეებით არის სავსე. თითოეულ მონაწილეს საკუთარი თავის გამოცდა უწევს. შოუში გამოვლინდება, თუ რამდენად არიან ისინი მზად, გაიარონ ფიზიკური და ფსიქოლოგიური დატვირთვა, შეძლონ გუნდურად მუშაობა, გაიგონ რა არის სამხედრო ცხოვრება და როგორ უნდა შეხვდნენ მოულოდნელ დაბრკოლებებს.

საზოგადოებისთვის ცნობილი 20 ადამინი, 4 გუნდად განაწილდა; მეთაურები გამოცდილი სამხედროები არიან, რომლებსაც პროექტში საგანგებო მისია აკისრიათ. ოთხი განსხვავებული პროფესიის და სპეციალობის ჯარისკაცი სათავეში ვარსკვლავურ გუნდებს ჩაუდგა და ერთგვარ მენტორობას უწევს მათ. ისინი პროექტის მონაწილეებს ეხმარებიან, რჩევებს აძლევენ, ავარჯიშებენ და, რაც მთავრია, მორალურად ამხნევებენ. პროექტის ერთ - ერთი წამყვანი მასტერ სერჟანტი თორნიკე თვარაძე გვიყვება, რომ „ყველაზე ძლიერში" მონაწილე სამხედროების მთავარი ამოცანა, ცნობილი სახეებისთვის სამხედრო ცხოვრების დეტალების გაცნობა და სიძნელეების გადალახვაში დახმარებაა: „პირველივე დღიდან ჩვენი ამოცანაა, რომ მონაწილეების ცხოვრება შევცვალოთ, ყოველდრიური ცხოვრებიდან გადმოვიყვანოთ სამხედრო რეჟიმზე. გავაცნოთ ის ღირებულებები, რასაც ჩვენი სამხედრო მოსამსახურეები ატარებენ. გარკვეულწილად, შეხება აქვთ, იმ სამხედრო წვრთნებთან, რაც დამკვიდრებულია თავდაცვის ძალებში. ჩვენ, სამხედროებმა, შოუს ორგანიზატორების მიერ გაცემული დავალების ასი პროცენტით შესრულება შევძელით. თავიდან იყო სირთულეებიც, როცა მონაწილეებს სამხედრო რეჟიმზე გადმოსვლა გაუჭირდათ. დილით ადრე გაღვიძება ,ვარჯიშების შესრულება, თუმცა არიან მონაწილეები, რომლებიც ამას კარგად ართმევენ თავს. მათთვის ყველაზე რთულია, რომ არ ფლობენ ინფორმაციას, რას უნდა ელოდონ ყოველდღიურად. მონაწილეები ერთიანდებიან გუნდებად და თუ ვინმე მათ შორის სუსტია, ძლიერებმა უნდა გაიზიარონ მათი მარცხი და ერთად განაგრძონ გამარჯვებისკენ ბრძოლა. შემიძლია ვთქვა, რომ ამ მიზანსაც მივაწღიეთ - გუნდურობისა და ერთმანეთის გატანის შეგრძნებას.

საზოგადოების ნაწილმა ფორმიანი ადამიანი იცის, მაგრამ არ იცის რა ელემენტებს მოიცავს ჩვენი ყოველდღიურობა. მოხარული ვარ, რომ ვახდენ ჩემი გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარებას. მონაწილეები ხედავენ, რომ სამხედრო მეთაურების დახმარებით შესაძლებელია მიაღწიონ წარმარტებას. სწორედ ამისთვის არიან პროექტში ჩართულები ჩვენი სამხედროები - მენტორები: თემო დადიანი, მიხეილ მათიაშვილი, ხატია გოგალაძე და ჯილდა წურწუმია. სულ ვგრძნობთ პატივისცემასა და დაინტერესებას ჩვენს მიმართ. ვფიქრობ, ამ პროექტის საშუალებით, უფრო დაფასდება სამხედრო საქმიანობა. ნამდვილად არ არის მარტივი იცხოვრო ჯარისკაცის ცხოვრებით. ეს არ არის მხოლოდ ფორმის ტარება - ეს არის ყოველდღიური შრომა და ყოველდღიურად ახალ - ახალ გამოწვევებზე პასუხი. ჩვენ ვცდილობთ, რომ სამოქალაქო პირებს ეს ყველაფერი დავანახოთ." - ამბობს მასტერ სერჟანტი თორნიკე თვარაძე

ვინ შეძლებს საუკეთესო ძალისა და გამძლეობის გამოვლენას, ვინ გახდება „ყველაზე ძლიერიდ?"-ეს რამდენიმე კვირაში გახდება ცნობილი. მანამდე კი საზოგადოებას, ტელეკომპანია „იმედის" ეთერის საშუალებით, დაუვიწყარი რეალითი შოუს ნახვის შესაძლებლობა აქვს.



ქართული „მტკიცე მხარდაჭერის" მისია

ავღანეთში „მტკიცე მხარდაჭერის" მისიით ქართველი სამხედროები სხვადასხვა ბაზაზე იმყოფებიან. ყოველი შვიდი თვის შემდეგ კი როტაციის წესით ერთმანეთს ენაცვლებიან. ავღანეთში საქართველოს თავდაცვის ძალების უფროს სამხედრო წარმომადგენელს, პოლკოვნიკ მალხაზ მერლანს „მტკიცე მხარდაჭერის" მისიაში საქართველოს კონტრიბუციის შესახებ ვესაუბრეთ.

პოლკოვნიკი მალხაზ მერლანი საქართველოს თავდაცვის ძალებში 1995 წლიდან მსახურობს. სამხედრო კარიერის განმავლობაში იგი სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე მსახურობდა. პოლკოვნიკი მერლანი იყო საჩხერის სამთო მომზადების სკოლისა და წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის ეროვნული სასწავლო ცენტრ „კრწანისი"-ს მეთაური, მოგვიანებით III და შემდეგ I ქვეით ბრიგადას ხელმძღვანელობდა. პოლკოვნიკი მერლანი მალის რესპუბლიკაში ევროკავშირის საწვრთნელ მისიაში სამხედრო წარმომადგენლის თანამდებობაზეც მსახურობდა და ამჟამად ავღანეთში უფროსი სამხედრო წარმომადგენელია.

პოლკოვნიკი მალხაზ მერლანი: *„ამ დროისთვის ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში, საქართველოს თავდაცვის ძალები წარმოდგენილია შემდეგ ბაზებზე: ბაგრამის საავიაციო ბაზა - 43-ე ქვეითი ბატალიონი, მტკიცე მხარდაჭერის მისიის შტაბი ქაბული - III ბრიგადის გაძლიერებული(ნაკრები) ასეული, მაზარ-ი-შარიფში ბაზა „მარმალი" - I ბრიგადის გაძლიერებული(ნაკრები) ასეული.*

ძირითად ამოცანებს წარმოადგენს ბაზების უსაფრთხოება, პატრულირება და სწრაფი რეაგირების დავალებები. IV მექანიზებული ბრიგადის 43-ე ბატალიონი: ახორციელებს ბაგრამის საავიაციო ბაზის უსაფრთხოებას და რაიონის დაცვას.

III ბრიგადის გაძლიერებული (ნაკრები) ასეული ახორციელებს მტკიცე მხარდაჭერის მისიის შტაბის RS-ის ბაზის პერიმეტრის და შიდა უსაფრთხოების დაცვას.

I ბრიგადის გაძლიერებული (ნაკრები) ასეული: ახორციელებს ჩრდილოეთ სარდლობის ტაქტიკური რეზერვის და სწრაფი რეაგირების ამოცანებს."

ავღანეთში ოფიციალური თუ სხვა სახის დელეგაციებს თავდაპირველად ჰამიდ კარზაის ქაბულის საერთაშორისო აეროპორტთან არსებულ ბაზაზე უწევთ ვიზიტი. სწორედ ამ ბაზაზე თავდაცვის ძალების კიდევ ერთი ჯგუფი ასრულებს ფუნქცია მოვალეობებს. ეს არის თავდაცვის ძალების სამხედრო წარმომადგენლობის ოფისი.

პოლკოვნიკი მალხაზ მერლანი: *„ქართული სამხედრო წარმომადგენლობა ქაბულში ბაზა HKIA-ზეა განთავსებული. ეს საკმაოდ მომცრო ბაზაა და ძირითადად ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების სამხედრო წარმომადგენლობებია აქ დისლოცირებული. ამას გარდა აღნიშნული ობიექტზე წვრთნის, შეფასების და რჩევის დედაქალაქის სარდლობის (Train Advise Assist Command - Capital) შტაბიცაა განთავსებული.*

საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო წარმომადგენლობის შემადგენლობაა 7 სამხედრო მოსამსახურე და 2 პრეს-ოფიცერი. აქედან ორი ოფიცერი მიმაგრებულია წვრთნის, შეფასების და რჩევის დედაქალაქის სარდლობის თურქულ შტაბში. სამხედრო წარმომადგენლობის ძირითადი როლი ქართული ქვედანაყოფების მხარდაჭერაა. როტაციების, გადაზიდვების, მაღალი დონის ვიზიტების ორგანიზება და კოორდინაცია. პრეს-ოფიცრების დახმარებით კი ავღანეთში დისლოცირებული სამხედრო ქვედანაყოფების საინფორმაციო მხარდაჭერა ხორციელდება. აქამდე ქვედანაყოფები მართვის ცენტრში მოხსენებებს წარმომადგენლობის გვერდის ავლით პირდაპირ აგზავნიდნენ. საჭიროებიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობასთან მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, დაწესდა, რომ ყველა ტიპის ინფორმაციამ სამხედრო წარმომადგენლობაში უნდა მოიყაროს თავი. აქ კეთდება ანალიზი და ინფორმაცია თბილისში მხოლოდ ჩვენგან იგზავნება. ამ გადაწყვეტილებით წარმომადგენლობამ ახალი ფუნქცია შეიძინა. დაიხვეწა მართვისა და კონტროლის მექანიზმები და ყველაზე მთავარი - გამორიცხა ინფორმაციის დუბლირება."

თავდაცვის ძალების სამხედრო წარმომადგენლობა ავღანეთში 7 თვიანი მისიით იმყოფება. შედეგ კი როტაციის წესით იცვლება. პოლკოვნიკი მალხაზ მერლანი, რომელიც ავღანეთში უკვე მეორედ ასრულებს სამშვიდობო მისიას, მალე ფუნქცია მოვალეობებს ახალ უფროს სამხედრო წარმომადგენელს გადააბარებს. მისი ოფისის სერჟანტ-ოფიცრები შეიცვალნენ და სამხედრო წარმომადგენლობის ახალი შემადგენლობა უკვე შეუდგა ფუნქცია-მოვალეობების შესრულებას.

პოლკოვნიკი მალხაზ მერლანი *„მადლობა თავდაცვის ძალების სამხედრო წარმომადგენლობის მერვე როტაციის ყველა ოფიცერს და სერჟანტს. ჩვენ, ერთად დგომით, უდანაკარგო მისიას მივაღწიეთ, რაც ყვე-*

ლაზე მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის. წარმომადგენლობის სამხედროებმა გადაცდომების გარეშე, მაღალი სულისკვეთებით და სანიმუშო დისციპლინით ღირსეულად დაასრულეს მისია და მშვიდობიანად დაუბრუნდნენ საკუთარ ოჯახებს, სამშობლოში. მადლობა მათ ღირსეული სამსახურისათვის.

მერვე როტაცია აპრილის ბოლოს დაიწყო და ბოლო ნაკადი 5 მაისს გაფრინდა. იმედს გამოვთქვამ, რომ მეცხრე როტაცია კიდევ უფრო მაღალ შედეგს მიაღწევს და კიდევ ერთხელ ასახელებს სამშობლოს.“

როგორც პოლკოვნიკი მერლანი აღნიშნავს, თავდაცვის ძალების სამხედრო წარმომადგენლობამ მისიის მსვლელობისას გარკვეული სიახლეები დანერგა, რომლის მთავარ მიზანს ქართული სამხედრო კონტიგენტის მხარდაჭერა წარმოადგენს.

პოლკოვნიკი მალხაზ მერლანი: *„ჩემამდე, ყველა უფროს სამხედრო წარმომადგენელს მათ ჯგუფებთან ერთად, უდიდესი შრომა და ღვაწლი აქვთ ჩადებული. მადლობა მათ გაწეული სამსახურისთვის. დიახ, ეს წარმომადგენლობა არსებობს იმისთვის, რომ მაქსიმალურად შეუმსუბუქოს ჩვენს მებრძოლებს საკმაოდ მძიმე ავდანური ყოფა. სამივე ბაზაზე მყოფმა ქართველმა ჯარისკაცებმა იციან, რომ ნებისმიერი მათი ღირსეული საქციელი არ დარჩება რეაგირების გარეშე. ჩვენი მებრძოლების საამაყო საქციელის უამრავი მაგალითი გვაქვს. როგორც ამოცანის შესრულებისას, ასევე ბაზებზე ყოველდღიურ ცხოვრებაშიც, რითაც მათ კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი, რომ მრავალეროვნულ მისიებში ღირსეული პარტნიორები ვართ. უკლებლივ ყველა დავასაჩუქრეთ ფასიანი საჩუქრით და მადლობის სიგელით.*

ქართული სამხედრო წარმომადგენლობის ოფისს „ქართული სახლი“ დავარქვით, რაც შინაარსით წახალისების ფორმას გულისხმობს. ქვედანაყოფის მეთაურებს ვთხოვე გამოიყენონ, როგორც გამორჩეული დისციპლინის, მაღალი საბრძოლო მომზადების, დაკისრებული მოვალეობების სისტემატურად მაღალხარისხიანად შემსრულებელ მებრძოლების წასახალისებლად. რა თქმა უნდა, არა ქვედანაყოფების ბრძოლისუნარიანობის დაქვეითების ხარჯზე. გამორჩეული სამხედროები რამდენიმე დღეს „ქართულ სახლში“ ჩვენთან ერთად გაატარებენ, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი მებრძოლების მოტივაციის ამაღლებას. მაგალითად, 30 აპრილს ქართული სამხედრო წარმომადგენლობის ინიციატივით და ორგანიზებით რამდენიმე ღონისძიება გაიმართა, ქაბულში, ბაზა HKIA-ზე. მარათონი, ოფიციალური მიღება, დაჯილდოების ცერემონიალი და საზეიმო ტორტის გაჭრა, სადაც მეთაურების მიერ შერჩეულმა ბაგრამის, მაზარიშარიფის და ქაბულის ასეულის 3-3-მა სამხედრო მოსამსახურემ ჩვენთან ერთად მიიღო მონაწილეობა. ვფიქრობ, ეს დარჩება ტრადიციად და მომავალშიც ანალოგიურად განხორციელდება. კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, ასეთი ღონისძიებები ხელს უწყობს საბრძოლო სულისკვეთების და მოტივაციის ამაღლებას.“

თავდაცვის ძალების სამხედრო წარმომადგენლობის ერთ-ერთ ამოცანას „მტკიცე მხარდაჭერის მისიის“ მაღალი რანგის სამხედრო მოსამსახურეებთან მოლაპარაკებების წარმართვა და კოორდინაცია წარმოადგენს. არავისთვისაა უცხო პარტნიორი ქვეყნების გენერლების უაღრესად დადებითი შეფასებები. პოლკოვნიკი მერლანი აღნიშნავს, რომ ნატოს მისიის ხელმძღვანელობა, საკუთარი ინიციატივით, არაერთხელ ეწვია ქართველ სამხედროებს და პირადად მას. ასეთი შეხვედრებისას ყველა დონის მეთაური ქართველი მებრძოლების მტკიცე დისციპლინას, მაღალ პროფესიონალიზმს, გამბედაობასა და სიმამაცეს ერთპიროვნულად აღნიშნავს.

პოლკოვნიკი მალხაზ მერლანი: *„ჩვენი სამხედროების მოქმედება ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე სამაგალითოა. ჩვენი მებრძოლები ამას ამოცანის შესრულების ყველა ნაბიჯზე ამტკიცებენ. მარტო ის სიტყვები რად ღირს რაც იტალიელმა გენერალმა პანიციმ მტკიცე მხარდაჭერის შტაბის უფროსის მოადგილემ და ამერიკელმა გენერალმა ბაგრამის ბაზის მეთაურმა კოლნიმ განაცხადეს უფლებამოსილების გადაბარების ოფიციალურ ღონისძიებაზე: „ყველას არ უმართლებს, რომ ჰქონდეს პატივი, იმსახუროს ყველაზე მამაც, გამბედავ და დისციპლინირებულ ქართულ ქვედანაყოფებთან“. ეს ყველაფერი იმიტომ, რომ ქართველ მებრძოლებს კი არ სძულთ ვინც არის მათ პირისპირ, არამედ უყვართ ვინც არის მათ ზურგს უკან (სამშობლო, ოჯახი).“*

სამხედრო როტაცია მომავალშიც განხორციელდება. საუბრის ბოლოს პოლკოვნიკ მერლანს ვთხოვეთ ჩამოეთვალა ის ძირითადი წესები, რაც სამშვიდობო მისიის მსვლელობისას ახალმა ქვედანაყოფებმა უნდა გაითვალისწინონ.

პოლკოვნიკი მალხაზ მერლანი:
„არასდროს იფიქრონ რომ მისიაში ნამყოფები ვართ და ვიცით ყველაფერი. პირდაპირ ვიტყვი, რაც კი პრობლემა ყოფილა, უმეტესწილად ამ წესის უგულვებელყოფამ განაპირობა.
- ოჯახიდან გამოსული მისი სარკე (ელჩი) ხარ, ქვეყნიდან გასული კი შენი სამშობლოს სარკე (ელჩი).
- სამხედრო ფიცი, ზედმიწევნით ასახავს თითოეულის პასუხისმგებლობას ქვეყნის წინაშე გეოგრაფიის მიუხედავად.
- ყველა მხრიდან ჩანს საკუთარი ქვეყნის ულამაზესი დროშა, შენი საქციელი განსაზღვრავს მის ღირსეულად, ამაყად დგომას ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების სახელმწიფო დროშების გვერდით.
- 33 გმირი შეეწირა და 200-მდე მებრძოლი დასახიჩრდა მსოფლიო უსაფრთხოების დაცვისას ავღანეთში, გაუფრთხილდი თავს, თანამებრძოლს და ქვედანაყოფს.
- უდანაკარგო და წარმატებული მისია ყველა მეთაურს და ყველა მებრძოლს.“

ნოდარ ხორბალაძე: „ქართველი სამხედროები ნატოს ერთიან გეომონაცემთა ბაზების შექმნის პროექტში ჩაერთვებიან“

საქართველოს თავდაცვის ძალების ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ტოპოგრაფიული სამსახურის უფროსი, პოლკოვნიკი ნოდარ ხორბალაძე ქართულ არმიაში 1992 წლიდან მსახურობს. თავდაცვის ძალებში ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დასრულების შემდეგ ქართული რუკების მომზადების მიზნით მივიდა. უწყების მაშინ კარტოგრაფიული ფაბრიკის კარტოგრაფიული განყოფილების უფროსმა სამხედრო ფორმა მოირგო და იმ პერიოდისთვის დამახასიათებელი მწირი შესაძლებლობებით ქართული ტოპოგრაფიული, ასევე სხვადასხვა დანიშნულების სპეციალური რუკების მომზადება დაიწყო. მაშინ სამხედრო მოსამსახურე, კოლეგებთან ერთად, ქართულ ტოპოგრაფიულ რუკას ხელით ამზადებდა.

პოლკოვნიკმა სასწავლო-სამეცნიერო მიზნებით თავდაცვის სამინისტრო სამი წლით დატოვა. მისი სადიპლომო ნაშრომი უკავშირდებოდა სამხედრო-საინჟინრო რუკის შექმნას, რომლის გამოცემის ორიგინალი 2003 წელს შეიქმნა. ნოდარ ხორბალაძემ 2012 წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დაიცვა სადოქტორო ნაშრომი - „სამხედრო კონფლიქტები კავკასიაში“.

ციფრული ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ ტოპოგრაფიული სამმართველოს უფროსმა, კოლეგებთან ერთად, ციფრული გეომონაცემთა ბაზების შექმნის რთული და შრომატევადი პროცესი დაიწყო. დღევანდელი სამხედრო ტექნიკა, ძირითადად, მორგებულია დედამიწის ციფრულ გეომონაცემთა ბაზების გამოყენებაზე, რომელიც მოწინავე ქვეყნებს აქვთ. მივიღეთ შემოთავაზება - ჩავერთოთ ნატოს ერთიან გეომონაცემთა ბაზების შექმნის პროექტში. ტოპოგრაფიული სამსახურის თანამშრომლების პროფესიონალიზმი ალიანსის წარმომადგენლებმა ტესტ-ტრენინგით შეამოწმეს და საკმაოდ მაღალი შეფასება მისცეს“, - განაცხადა პოლკოვნიკმა ნოდარ ხორბალაძემ.

თავდაცვის სამინისტრო ამ კუთხით აშშ-სთან და სხვა ნატოს წევრ ქვეყნებთანაც თანამშრომლობს. როგორც პოლკოვნიკი ხორბალაძე ამბობს, ტექნოლოგიური განვითარების მიზნით ქართველ სამხედროებს მათგან მნიშვნელოვანი მხარდაჭერა აქვთ.

„რუკა ყოველთვის ასახავს იმ რეალობას, რომელშიც ვარსებობთ, შესაბამისად, მუდმივი პროცესია რუკების შექმნაც“, - აღნიშნავს რესპონდენტი, რომლისთვისაც სამსახური ჰობია. სწორედ, საველე სამუშაოების შესრულებისას აღმოაჩინეს უსახელო მწვერვალები, რომლებსაც, ტოპოგრაფიული სამსახურის ინიციატივით, ეროვნული გმირების - ზურაბ იარაჯულისა და გიორგი ანწუხელიძის სახელი მიენიჭა.

სამუშაო ლაშქრობის დროს, კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე, მწვერვალ დიდი ბორბალოს მიმდებარედ უსახელო მწვერვალები მოინიშნა, მოგვიანებით კი, ეროვნული გმირების სახელები მიენიჭა. კერძოდ, ზურაბ იარაჯულის სახელობის მწვერვალის გეოგრაფიული კოორდინატებია: X-518493; Y-4693900. ხოლო გიორგი ანწუხელიძის: ჩრდილოეთ განედის 42023’23” და აღმოსავლეთ გრძედის 45013’22”. „სამხედროები ვართ და ჩვენი ეროვნული გმირების სახელის დაფასდება ჩვენი ვალია“... - ამბობს ხორბალაძე.

რუსული პროპაგანდა ლათინურ ამერიკაში

2016 წელს, რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების ღონისძიებაზე, სადაც ორგანიზაციის პრემიის ლაურეატების დაჯილდოება მიმდინარეობდა, ვლადიმირ პუტინმა ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეს ჰკითხა, სად მთავრდებოდა რუსეთის საზღვრები, მცირეწლოვანმა მოსწავლემ პრეზიდენტს უპასუხა, რომ მათი ქვეყნის საზღვრები, აშშ-სთან, ბერინგის სრუტეზე გადიოდა, რაზეც პუტინმა ღიმილით განაცხადა, რომ რუსეთის საზღვრებს ბოლო არ აქვსო. პუტინის ეს სიტყვები, ბევრისთვის, რუსეთის იმპერიული ზრახვების კიდევ ერთი ნათელი დადასტურება იყო. საბედნიეროდ, კრემლის მრავალფეროვანი ტერიტორიული ამბიციები შეზღუდულია და ფიზიკურ ჩარჩოებშია მოქცეული. თუმცა, მეორე მხრივ, რუსული დეზინფორმაციისა და პროპაგანდის შესაძლებლობები ევრაზიის კონტინენტსაც სცდება და კრემლისთვის ხელსაყრელი საინფორმაციო გარემოს ფორმირებას მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში აქტიურად ეწევა.

ჩვენი მკითხველი საქართველოში რუსული პროპაგანდის ქრესტომათიას უკვე კარგად იცნობს, თუმცა არანაკლებ საინტერესო იქნება, ამჯერად, ქართული საინფორმაციო გარემოდან ათასობით კილომეტრი დაშორებით, ლათინურ ამერიკაში გადავინაცვლოთ და ამ რეგიონში, კრემლის დეზინფორმაციის თავისებურებები მიმოვიხილოთ.

როგორც საქართველოსა და ევროპაში, ლათინურ ამერიკაშიც რუსული პროპაგანდის მიზნები თვალნათელია: კრემლი ცდილობს სისტემური დეზინფორმაციის გზით რეგიონში დემოკრატიული ფასეულობების შელახვას, დასავლეთის და უპირველეს ყოვლისა - აშშ-ის ინსტიტუტების და საინფორმაციო საშუალებების დისკრედიტაციას, დასავლეთის საერთო გავლენის დასუსტებას და რეგიონის ქვეყნების ხელისუფლებების გადაწყვეტილებებზე ზეგავლენას.

ლათინურ ამერიკაში რუსეთის საინფორმაციო პოლიტიკა კრემლის სტრატეგიის ნაწილია, რომელიც მის საზღვრებს მიღმა ქაოსის დამყარებას ემსახურება. ამ მხრივ, ნიშანდობლივია, რომ ვანდერბილტის უნივერსიტეტის ლათინური ამერიკის საზოგადოებრივი აზრის პროექტის მიხედვით, რეგიონის ქვეყნებში დემოკრატიის მხარდაჭერა საგრძნობლადაა შემცირებული, რაც იმთავითვე მიანიშნებს რუსული პროპაგანდის აქტიურ მოქმედებას. როგორც ესპანეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ანა პალასიო მიიჩნევს, ლათინურ ამერიკაში „ჯოხის ქნევით“ პუტინი ცდილობს მსოფლიოს დაანახოს, რომ აშშ-ს წინამძღოლობით არსებული წესრიგი ძალას კარგავს და დასავლეთს რუსეთის გავლენის სასურველ სფეროებს განუსაზღვრავს.

ლათინურ ამერიკაში რუსული დეზინფორმაციის მთავარ საყრდენს ტელეკომპანია Russia Today (RT) წარმოადგენს, რომელთან ერთად, Sputnik Mundo, TASS da Voice of Russia აქტიურად ემსახურებიან რეგიონში რუსული ნარატივების გავრცელებას. დასავლური მედიასაშუალებებისგან განსხვავებით, როგორიცაა CNN, FOX, BBC, ზემოაღნიშნული რუსული წყაროები არ არიან დამოუკიდებელი და როგორც დეზინფორმაციის ინსტრუმენტები, პირდაპირ იმართე-

ბიან კრემლიდან. RT-ს, რომელიც ლათინურ ამერიკაში 2009 წლიდან ოპერირებს და რეგიონში 18 მილიონიანი აუდიტორია ყავს, რეგიონის 320-მდე საკაბელო კომპანიასთან აქვს გაფორმებული ხელშეკრულება, არაერთი საკაბელო კომპანიის მფლობელია და ვენესუელასა და არგენტინაში ღიად მაუწყებლობს. მისი სლოგანია „დასვი მეტი კითხვა“, რაც იმთავითვე ცხადყოფს ტელევიზიის მიზანს, დაუპირისპირდეს დასავლურ ნარატივებს. ამავდროულად, მოსკოვი აქტიურად ცდილობს გავლენა გააძლიეროს მცირე ფინანსებისა და რესურსების მქონე ლათინოამერიკულ მედიასაშუალებებზე, რადგან მეტი სანდოობისათვის, მის ინტერესშია გზავნილების სწორედ ადგილობრივი წყაროებით გაუდერება. რეგიონის მედიას ინფორმაციის გადამოწმების მწირი შესაძლებლობები აქვს, რა მიზეზითაც ახალი ინფორმაციის გავრცელების დროს მას ხშირად რუსული ნარატივების გაზიარება უხდება.

კრემლი, მასთან პირდაპირ აფილირებულ მედიასაშუალებებთან ერთად, რეგიონში დეზინფორმაციის გასავრცელებლად აქტიურად იყენებს ინტერნეტ რესურსებს, სოციალურ ქსელებს და სოციალურ მედია-პლატფორმებს. ინტერნეტ-ტროლიგნი, ვებ-ბრიგადები და ბოტები, რომლებიც რუსეთის ინტერნეტკვლევების სააგენტოს ქოლგის ქვეშ მოქმედებენ, ჩვენი ქვეყნისთვის ნაცნობი სცენარით, 24 საათიან რეჟიმში ეწევიან ყალბი ინფორმაციის გავრცელებას და ლათინოამერიკული აუდიტორიების მანიპულაციას. რუსული პროპაგანდის მანქანა, ასევე, იმ ადამიანების აქტივობებსაც ეყრდნობა, რომლებიც ნებით თუ უნებლიედ, როგორც ზემოაღნიშნული გზებით გავლენის შედეგი, სოციალურ ქსელებში პრორუსულად პოზიციონერებენ და რუსულ ნარატივებს ავრცობენ.

ნიშანდობლივია, რომ RT da Sputnik-ი ყოველწლიურად აფინანსებენ ლათინოამერიკელი ჟურნალისტების ვიზიტებს მოსკოვში, რათა ისინი კიდევ უფრო მეტად მოაქციონ რუსული მსოფლმხედველობის გავლენაში. მედია პლატფორმებთან ერთად, ხელსაყრელი საინფორმაციო გარემოს გასაძლიერებლად, კრემლი აქტიურად იყენებს ადგილობრივ დიასპორულ და რუსულ ბიზნეს ორგანიზაციებს, ასევე რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიას. თუმცა, რუსულ დიასპორას არ აქვს რეგიონში პოლიტიკურ პროცესებზე რაიმე ზეგავლენის ბერკეტი და მათი წილი კრემლის ნარატივების გავრცელებაში საკმაოდ მოკრძალებულია.

საბჭოთა პერიოდის მსგავსად, დღესაც, ლათინურ ამერიკაში რუსული პროპაგანდის მთავარი ნარატივია „ამერიკული იმპერიალიზმი“. პრორუსული საინფორმაციო საშუალებები ამერიკა-მექსიკის 1846-1848 წლების ომის და 1954-1980 წლებში გვატემალაში, ჩილეში და ნიკარაგუაში მომხდარი პოლიტიკური მოვლენებით აქტიურად მანიპულირებენ, აშშ-ს როგორც აგრესიულ სახელმწიფოს წარმოსახავენ, ხოლო მის გამანეიტრალებელ საპირწონე ძალად, რუსეთს. 2017 წელს, უსაფრთხოების საკითხებში აშშ-ს პრეზიდენტის მრჩევლის ჰერბერტ მაკმასტერის მტკიცებით, რუსული სადეზინფორმაციო კამპანიები ლათინურ ამერიკაში ასევე მიზნად ისახავდნენ ბრაზილიაში, კოლუმბიაში და მექსიკაში არჩევნებზე ზეგავლენას, შესაბამისად, ამ ქვეყნებში ანტიამერიკული და ანტიდასავლური ძალების განმტკიცებას.

2016 წელს Sputnik Mundo ყალბი ინფორმაციით პროპაგანდირებდა, რომ აშშ-ს თითქოსდა ორი სამხედრო ბაზა ჰქონდა განთავსებული არგენტინაში, ხოლო მომდევნო წელს, RT ლათინოამერიკულ აუდიტორიას უმტკიცებდა, რომ აშშ სამხედრო ბაზას აშენებდა პერუს ამაზონში. კრემლმა ორივე სადეზინფორმაციო კამპანია არგენტინისა და პერუს მიერ აშშ-სგან იარაღის შესყიდვებს დაამთხვია და ამით, აღნიშნული პროცესის მაქსიმალურ დისკრედიტაციას შეეცადა. 2017 წელს, RT, ასევე უსაფუძვლოდ შეეცადა გაერთიანებული სამეფოს დადანაშაულებას არგენტინული წყალქვეშა ნავის გაუჩინარებაში და ამით, გაერთიანებულ სამეფოსა და არგენტინას შორის 1982 წლის ფოლკლენდის ომით სპეკულაციასაც შეეცადა.

ვენესუელაში განვითარებულ მოვლენებთან მიმართებაში, „ამერიკული იმპერიალიზმის“ რუსული ნარატივი რამდენიმე მიმართულებითაა გაშლილი. ქვეყანაში, რომელიც აღიარებს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის (სამხრეთ ოსეთის) „დამოუკიდებლობას“, კრემლი ანტიამერიკულ, ნაციონალიზმის მხარდამჭერ და დემოკრატიული პროცესების ჩამხშობ მიმართულებებს აღვივებს.

ხუან გუაიდო, რომელსაც აშშ ვენესუელას ლეგიტიმურ პრეზიდენტად მიიჩნევს, ლათინოამერიკაში მოქმედი პრორუსული მედია საშუალებების მიერ მონათლულია როგორც ამერიკული იმპერიალიზმის მარიონეტი, რომლის ხელისუფლებაში მოსვლა ვენესუელაში არნახულ დესტაბილიზაციას გამოიწვევს. მიუხედავად იმისა, რომ გუაიდოს როგორც ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის, ისე ევროკავშირის ქვეყნების უმეტესობა უჭერს მხარს, კრემლის პროპაგანდა მისი ქვეყნის სათავეში მოსვლას ლიბიის და სირიის სამოქალაქო ომებთან, ასევე უკრაინაში, მაიდანის სისხლისღვრასთან აიგივებს.

ამავდროულად, საყურადღებოა, რომ კრემლი თანაბარი ძალისხმევით ცდილობს ლათინოამერიკული საზოგადოება, ერთი მხრივ, „ამერიკული იმპერიალიზმით“ დააშინოს, ხოლო მეორეს მხრივ დაარწმუნოს, რომ საჭიროების შემთხვევაში, ბაშარ ასადის მსგავსად, ის ვენესუელას პრეზიდენტს ნიკოლას მადუროსაც სამხედრო ძალით დაიცავს. 2018 წლის დეკემბერში, RT-ს ჟურნალისტის მიერ ვენესუელაში რუსული სტრატეგიული ბომბდამშენის ოვაციებით დახვედრის კადრები კარიბის კრიზისის შემდეგ ლათინურ ამერიკაში კრემლის ძალის დემონსტრირების სამაგალითო ნიმუშად იქცა.

პრორუსული მედია საშუალებები აქტიურად ცდილობენ აშშ-ს მხარდაჭერა გუაიდოს მიმართ, ვენესუელაში ვაშინგტონის ენერგო-ინტერესებსაც დაუკავშირონ. რუსული ნარატივის მიხედვით, ვენესუელაში ხელისუფლების ცვლილების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი აშშ-სთვის ქვეყნის ნავთობრესურსების კონტროლია. სინამდვილეში, მადუროს ქვეყნის სათავეში ყოფნით, რუსეთი საკუთარ ენერგოინტერესებს იცავს: როსნეფტი - რუსეთის სახელმწიფო ნავთობკომპანია ვენესუელაში ერთ-ერთი უმსხვილესი ინვესტორია. კომპანიამ 7 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი მოცულობის ინვესტიცია განახორციელა ქვეყანაში, ძირითადად სესხების სახით, რომლის ამოღებაც სწორედ ნავთობით არის განსაზღვრული. 2017 წელს, როსნეფტმა მიიღო კიდეც 1.9 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების ნავთობი და 1.5 მილიარდი აშშ დოლარის ვალის ფასად აშშ-ში მოქმედი ვენესუელას ნავთობგადამამუშავებელი კომპანია ჩიტგო-ს აქციების 49.9%-საც დაეუფლა. აქვე, ნიშანდობლივია, რომ ნიკოლას მადუროსთან მთავარ მეკავშირეობას როსნეფტის თავკაცი და ვლადიმირ პუტინთან განსაკუთრებულად დაახლოებული იგორ სეჩინი უზრუნველყოფს.

კრემლი მრავალმხრივი საშუალებებით ცდილობს ვენესუელასა და ნიკარაგუაში ნიკოლას მადუროსა და დანიელ ორტეგას დიქტატორული რეჟიმების მხარდაჭერას, რაც პრორუსულ მედიაში მათთვის პატრიოტი და ხალხზე მზრუნველი იმიჯის შექმნით გამოიხატება. ამავდროულად, რუსული პროპაგანდა აქტიურად მოქმედებს ყველა საერთაშორისო ინიციატივის წინააღმდეგ, რომელიც აღნიშნულ რეჟიმებს უპირისპირდება. მაგალითისთვის, პრორუსული მედია ლიმას ჯგუფის დისკრედიტაციას ცდილობს, რომელიც ლათინური ამერიკის ქვეყნების უმეტესობას მოიცავს და მხარს უჭერს ვენესუელაში პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლებას, სამართლიან არჩევნებს და დემოკრატიზაციას.

საერთაშორისო თანამეგობრობის დისკრედიტაციის კონტექსტში, რუსული დეზინფორმაციის მანქანა საქართველოს ლათინოამერიკული აუდიტორიის წინაშეც უპირისპირდება. რეგიონში მოქმედი პრორუსული მედიასაშუალებების გზავნილებში საქართველო განიხილება, როგორც ამერიკული ხავერდოვანი რევოლუციების ერთ-ერთ ექსპერიმენტი და დასავლეთის მიერ მართული აგრესორი ქვეყანა. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ვენესუელას და ნიკარაგუას დიქტატორული რეჟიმები აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის (სამხრეთ ოსეთის) „დამოუკიდებლობას“ აღიარებენ და სეპარატისტული რეჟიმების ლიდერებთან პერიოდულ შეხვედრებს მართავენ, ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აშშ-სა და დასავლური სამყაროს ძალისხმევას გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვონ ლათინურ ამერიკაში რუსულ დეზინფორმაციასთან ბრძოლაში. როგორი ეფექტურობითაც გავრცელდება დასავლური ნარატივები ლათინურ ამერიკაში, იმდენად დადებითი იმიჯი ექნება რეგიონის ქვეყნებისთვის საქართველოს და მის დემოკრატიულ მონაპოვარს.

საზოგადოებაში გავრცელებული მითები „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ შესახებ

რა არის „აღმოსავლეთ პარტნიორობა“?

„აღმოსავლეთ პარტნიორობა“ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ერთ-ერთი მიმართულებაა, რომელიც ორმხრივ და მრავალმხრივ თანამშრომლობას გულისხმობს. აღნიშნული თანამშრომლობის ფორმატი 2009 წლის 19 მარტს, პრაღაში, ევროპული საბჭოს სხდომაზე ოფიციალურად დამტკიცდა. „აღმოსავლეთ პარტნიორობას“ შექმნიდან 10 წელი სწორედ წელს უსრულდება.

„აღმოსავლეთ პარტნიორობა“ ევროკავშირს, მის წევრ სახელმწიფოებს და ექვს ქვეყანას - აზერბაიჯანს, ბელარუსს, მოლდოვის რესპუბლიკას, საქართველოს, სომხეთს და უკრაინას აერთიანებს. უკვე ათი წელია, პარტნიორობის ქვეყნები აქტიურად თანამშრომლობენ, კეთილდღეობის, დემოკრატიისა და სტაბილურობის საერთო სივრცის შექმნის მიზნით. ევროკავშირის მხარდაჭერა ხელს უწყობს ექვსი ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას.
„აღმოსავლეთ პარტნიორობა“ ეფუძნება საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და ფუნდამენტურ ფასეულობებს, როგორიც არის დემოკრატია, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებათა პატივისცემა და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა მდგრადი განვითარებით. პარტნიორობას თანამშრომლობის ორი სამუშაო ფორმატი აქვს: ორმხრივი და მრავალმხრივი.

ევროკავშირი „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში მხარს უჭერს საქართველოში დემოკრატიული რეფორმების გატარებას და უსაფრთხოების, ვაჭრობის, მიგრაციის, ტრანსპორტის, ენერგეტიკის, გარემოს დაცვის სფეროებშიც აქტიურად თანამშრომლობს.

მიუხედავად იმისა, რომ „აღმოსავლეთ პარტიორობის“ მიზანი გამჭვირვალე და მხოლოდ დადებითის მომტანი შეიძლება იყოს პარტნიორობის ქვეყნებისთვის ჰიბრიდული გამოწვევების ფონზე დეზინფორმაციის გავრცელებაც აქტიურად ხორციელდება სხვადასხვა წყაროების გზით.

2017 წლის 24 ნოემბერს, ქალაქ ბრიუსელში, აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) მე-5 სამიტზე, საზოგადოების ინფორმირების მიზნით აღმოსავლეთ პარტნიორობის შესახებ მითების დოკუმენტი შეიმუშავეს. ქვემოთ ჩამოთვლილია ყველაზე აქტუალური ხუთი მითი, რომელიც „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ შესახებ ვრცელდება.

მითები აღმოსავლეთ პარტნიორობის შესახებ

miTi 1

მცდარია: აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა შეიქმნა ევროკავშირის მიერ რუსეთის პროვოცირების მიზნით.

სწორია: აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა არ არის მიმართული არც ერთი ქვეყნის წინააღმდეგ; ეს არის ორმხრივად სასარგებლო და კონსტრუქციული პლატფორმა, ქვეყნებისთვის რეგიონში ევროკავშირთან უფრო ახლო ურთიერთობების დასამყარებლად, მათი სურვილის შემთხვევაში. ევროკავშირი არ ავალდებულებულებს მის არც ერთ პარტნიორს, გააკეთოს არჩევანი ევროკავშირს ან სხვა რომელიმე ქვეყანას შორის. აღმოსავლეთ პარტნიორობა კარგი სამეზობლო ურთიერთობების მომხრეა და პატივს სცემს თითოეული პარტნიორი ქვეყნის დამოუკიდებელ მისწრაფებებს და მიზნებს.

miTi 2

მცდარია: აღმოსავლეთ პარტნიორობა იწვევს დესტაბილიზაციას ან რეჟიმის ცვლილებას.

სწორია: აღმოსავლეთ პარტნიორობის ტრანსფორმაციული გეგმის მიზანია დადებითი ცვლილებების განხორციელება ევროკავშირის და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მოქალაქეთა ცხოვრებაში. აღნიშნული მიღწევის ერთ-ერთი ძირითადი გზაა დემოკრატიული წესების და პრინციპების დანერგვა და ხელშეწყობა. ევროკავშირი პარტნიორ ქვეყნებს არ ახვევს რაიმე ქმედებას ან პროგრამას. თანამშრომლობის ზოგადი მიზანია დემოკრატიის, კეთილდღეობის და სტაბილურობის ერთიანი სივრცის შექმნა თითოეული ქვეყნის მისწრაფების შესაბამისად.

miTi 3

მცდარია: აღმოსავლეთ პარტნიორობის გეგმა თავს მოხვეულია პარტნიორებზე მათი სურვილების საწინააღმდეგოდ.

სწორია: აღმოსავლეთ პარტნიორობა არის ევროკაკშვირის და ექვსი პარტნიორი ქვეყნის ერთობლივი ინიციტივა. ის არ არის თავს მოხვეული და ქვეყნებს შეუძლიათ აირჩიონ საკუთარი ჩართულობის დონე და მიზნები. ევროკავშირი არ ახვევს თავს პარტნიორ ქვეყნებს რაიმე რეფორმას და ღირებულებებს. რეალობა აბსოლიტურად საპირისპიროა. პარტნიორი ქვეყნები აკეთებენ არჩევანს ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობის მისაღწევად. ეს ხორციელდება მაგალითად, გამჭირვალე და ანგარიშვალდებული მმართველობითი სტრუქტურების ჩამოყალიბებით და სამრეწველო სტანდარტების ჰარმონიზაციის გზით, ორმხრივი სავაჭრო შესაძლებლობებიდან სარგებლის მისაღებად.

miTi 4

მცდარია: აღმოსავლეთ პარტნიორობაში მონაწილეობა ევროკავშირის საწინდარია.

სწორია: აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა არ წარმოადგენს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესს. მისი მიზანია დემოკრატიის, კეთილდღეობის, სტაბილურობის და გაუმჯობესებული თანამშრომლობის ერთიანი სივრცის შექმნა. აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა უზრუნველყოფს ინკლუზიურ ჩარჩოს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვს, ასევე აზერბაიჯანის, ბელარუსიის, მოლდოვას, საქართველოს, სომხეთის და უკრაინისთვის შემდეგ სფეროებში თანამშრომლობის მიზნით: 1) ეკონომიკური განვითარება და საბაზრო შესაძლებლობები; 2) ინსტიტუციური გაძლიერება და კარგი მმართველობა; 3) კავშირები, ენერგოეფექტურობა, გარემო და კლიმატის ცვლილება; და 4) მობილობა და ხალხთა შორის კავშირები. თითოეულ სახელმწიფოს საკუთარი სურვილით შეუძლია აირჩიოს, რა დონეზე და რა მიზნით ესწრაფვის ევროკავშირთან ურთიერთობას.

სამხედრო მოსამსახურეებმა აღმოდებული კორპუსიდან ხუთი ბავშვი გამოიყვანეს

სამსახურებრივი მიზნით რუსთავში გადაადგილებისას 42-ე ბატალიონის ჯარისკაცებმა ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსში ხანძარი შენიშნეს. კაპიტანმა ალექსანდრე ჯანიაშვილმა, უფროსმა ლეიტენანტმა გიორგი მუსელიანმა და კაპრალმა დავით კვიწინაძემ მოსახლეობის ევაკუაცია დროულად მოახდინეს და ბავშვები ალმოდებული შენობიდან უსაფრთხო ადგილას გადაიყვანეს.

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ ჯარისკაცებს სამაგალითო საქციელისთვის მადლობა გადაუხადა და იარაღით დააჯილდოვა. თავდაცვის მინისტრმა რუსთავში, მეგობრობის ქუჩაზე გაჩენილი ხანძრისა და განვითარებული მოვლენების შესახებ სამხედრო მოსამსახურეებისგან დეტალური ინფორმაცია მიიღო. ლევან იზორიამ ჯარისკაცებს მხარდაჭერა კიდევ ერთხელ აღუთქვა და მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

მამის მეგობრისგან

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს თავდაცვის მინისტრმა გარდაცვლილი სამხედროების შვილებს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში უმასპინძლა.

2008 წლის აგვისტოს ომში, საერთაშორისო სამშვიდობო მისიებსა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული სამხედროების შვილებმა სპორტულ-გასართობ ღონისძიებებში მიიღეს მონაწილეობა. მხიარული სტარტების მონაწილე გუნდებს თავდაცვის მინისტრი, სამხედრო მოსამსახურეები და ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერები გულშემატკივრობდნენ. სპორტული შეჯიბრებების დასრულების შემდეგ, მონაწილეებს თავდაცვის მინისტრმა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე მიულოცა და მედლები წარწერით - „მამის მეგობრისგან“ გადასცა. ლევან იზორიამ განაცხადა, რომ გარდაცვლილი სამხედროების ოჯახების მხარდაჭერა და მათზე ზრუნვა თავდაცვის უწყების ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. იუნკერებმა ბავშვები ბურთებითა და ბადმინტონებით დაასაჩუქრეს.

მხიარული სტარტების შემდეგ, დაღუპული სამხედროების შვილები, სამხედროებთან ერთად, სხვადასხვა სპორტულ აქტივობაში ჩაერთვნენ. მათ საკუთარი შესაძლებლობები გამოსცადეს სიმულაციურ ცენტრში, გაისეირნეს კვადროციკლებით, დაესწრნენ ვირტუალური ბრძოლის სცენებს, ითამაშეს მაგიდის ჩოგბურთი და პეინტბოლი.

ღონისძიება თავდაცვის სამინისტროს პროექტის - „მამის მეგობრისგან“ ფარგლებში გაიმართა.

დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების შვილებისთვის მხიარულ სტარტებს ორგანიზება საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნულმა ფედერაციამ უსასყიდლოდ გაუწია.

„ალფა“ ასეული ნატოს რეაგირების ძალებს (NRF) შეუერთდა

I ქვეითი ბრიგადის მე-12 ბატალიონის „ალფა“ ასეული ნატოს რეაგირების ძალების (NRF) სრულუფლებიანი წევრია. ნატოს ძალებთან თავსებადობის დამადასტურებელი დოკუმენტი ვაზიანში, IV მექანიზებულ ბრიგადაში გაფორმდა, რომლის თანახმად, ასეულს სამი წლის ვადით ნატოს ოპერატიული შესაძლებლობების კონცეფციის შეფასებისა და უკუკავშირის პროგრამის (OCC E&F) სერტიფიკატი მიენიჭა.

დოკუმენტის ხელმოწერამდე, „ალფა“ ასეულმა ნატოს მეორე დონის შეფასება (NEL-2) გაიარა. პროცესს ნატოს სახმელეთო ძალების შტაბის წარმომადგენლები აკვირდებოდნენ. შეფასების ჯგუფი ქართველი, ასევე, ნატოსა და პარტნიორი ქვეყნების სერტიფიცირებული შემფასებლებით იყო დაკომპლექტებული.

შეფასების დასკვნითი სწავლების ფაზაში „ალფა“ ასეულმა ობიექტზე შეტევის ოპერაცია განახორციელა და ამოცანები მოიერიშე და მხარდამჭერი ელემენტების კოორდინირებული მოქმედებებით შეასრულა. სამხედრო მოსამსახურეებმა პირობით მოწინააღმდეგეზე იერიშის დროს ქვეითთა ჰამერის ტიპის დაჯავშნული ავტომობილები და სხვადასხვა ტიპის შეიარაღება გამოიყენეს. განხორციელდა პირობითად დაშავებული სამხედრო მოსამსახურის ევაკუაციაც.

I ქვეითი ბრიგადის მე-12 ბატალიონის „ალფა“ ასეული ნატოს ოპერატიული შესაძლებლობების კონცეფციის შეფასებისა და უკუკავშირის პროგრამაში (OCC E&F) 2013 წლიდან მონაწილეობს. 2015-დან 2018 წლის ჩათვლით ასეული ჩართული იყო ნატოს რეაგირების ძალებში (NRF), გავლილი აქვს შესაბამისი შეფასებების ყველა დონე და მინიჭებული აქვს სერტიფიკატი. 2019 წლის 1 იანვრიდან „ალფა“ ასეული ნატოს რეაგირების ძალების (NRF) შემადგენლობაში „ჩარლი“ ასეულმა ჩაანაცვლა. ამჟამად, ნატოს მეორე დონის შეფასების (NEL-2) წარმატებით დასრულების შემდეგ კი, „ალფა“ ასეული NRF-ს კვლავ შეუერთდა

ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის დაარსებიდან სამი წელი შესრულდა

ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი (JTEC) დაარსებიდან მესამე წლისთავს აღნიშნავს. ცენტრის დაარსებისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებას საქართველოს თავდაცვის მინისტრი, ლევან იზორია დაესწრო და პირად შემადგენლობას სიტყვით მიმართა. ლევან იზორიამ ყურადღება საქართველოს ნატოსთან ინტეგრაციის გზაზე ცენტრის უდიდეს როლზე გაამახვილა, მის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის, როგორც ქართულ მხარეს, ასევე, საერთაშორისო პარტნიორებს მადლობა გადაუხადა და JTEC-ის გაფართოების მნიშვნელობაზე ისაუბრა. ლევან იზორიას განცხადებით: „გვაქვს განსაკუთრებული აღიარება. ამას მოწმობს გუშინწინ ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის, ჯეიმს აპატურაის მიერ გაკეთებული განცხადებები, სადაც ის ამ წარმატების საფუძველზე აღიარებს აღნიშნული ინიციატივის გაფართოების შესაძლებლობას, რაც ნატო-საქართველოს პრაქტიკული თანამშრომლობის გაფართოებაში, მეტი ნატოს პრინციპის უზრუნველყოფაში გამოიხატება. ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვები, თუ როგორ უნდა მოხდეს ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ტრანსფორმირება“.

მინისტრის განცხადებით, ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის (JTEC) მეტად განვითარება იმ სტრატეგიული მიზნის მიღწევაში დაგვეხმარება, რასაც საქართველოს ნატოში გაწევრიანება ჰქვია. ლევან იზორიამ 2019 წელს ჩატარებული ერთობლივი წვრთნების მნიშვნელობაც ხაზგასმით აღნიშნა, რომელსაც JTEC-მა წელს უმასპინძლა და სწავლების დაგეგმვისა და აღსრულების ფაზის განხორციელებაც ქართული მხარის ორგანიზებით მოხდა. 2022 წელს ერთობლივი სწავლების ჩატარება კვლავ იგეგმება, რომელიც ახალ ფორმატში განხორციელდება და ახალი ელემენტებით იქნება დატვირთული.

ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი (JTEC) ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP) 14 პროექტიდან ყველაზე მნიშვნელოვანი და წარმატებული ინიციატივაა და საქართველოს თავდაცვის ძალების სწრაფი განვითარებისა და ნატოსთან თავსებადობის მისაღწევად, განხორციელებული რეფორმების მხარდაჭერას უზრუნველყოფს.

JTEC 2015 წლის 27 აგვისტოს ნატოს გენერალურმა მდივანმა, იენს სტოლტენბერგმა გახსნა. 2016 წლის მაისში ცენტრი საქართველოს თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის ერთეულად ჩამოყალიბდა.

თურქეთის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის ვიზიტი

დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით საქართველოში ვიზიტით თურქეთის რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი, ჰულუსი აკარი იმყოფება. საზეიმო ღონისძიებაზე დასწრებისა და პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძესთან შეხვედრის შემდეგ, საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, ლევან იზორიამ თურქ კოლეგას თავდაცვის სამინისტროში უმასპინძლა.

თავდაცვის სამინისტროს სამწყობრო მოედანზე გამართული ოფიციალური დახვედრის ცერემონიის შემდეგ, ორი ქვეყნის თავდაცვის მინისტრებმა ორმხრივი შეხვედრა გამართეს, სადაც საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის თავდაცვის სფეროში არსებული და მომავალი თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

ლევან იზორიამ სტრატეგიულ პარტნიორს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე ურყევი მხარდაჭერისთვის, ასევე, საქართველოს თავდაცვის ძალების აღმშენებლობისა და განვითარების პროცესში გაწეული დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თურქულ მხარეს თავდაცვის ძალებში განხორციელებული რეფორმები გააცნო და ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP) იმპლემენტაციის პროცესში, თურქეთის როლი ხაზგასმით აღნიშნა.

თავდაცვის სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე საუბარი სამხედრო განათლების კუთხით არსებულ ინტენსიურ თანამშრომლობას, თურქეთის შეიარაღებული ძალებისა და საქართველოს თავდაცვის ძალების ერთობლივ სამხედრო წვრთნებში მონაწილეობასაც შეეხო.

მინისტრებმა იმედი გამოთქვეს, რომ თავდაცვის სფეროში თანამშრომლობა როგორც ორმხრივ, ისე სამმხრივ ფორმატში კიდევ უფრო გაფართოვდება, რაც რეგიონში უსაფრთხოების არქიტექტურის განმტკიცების პროცესს ხელს შეუწყობს. ლევან იზორიას განცხადებით, ერთობლივი თანამშრომლობით შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება კიდევ უფრო გაძლიერდება.

მოგვიანებით თურქეთის რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრმა და დელეგაციის წევრებმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპული გმირების ხსოვნას პატივი მიაგეს და გმირთა მოედანზე მდებარე მემორიალი გვირგვინით შეამკეს.